საგადასახადო დავალება
Payment Order

1902997886 GEL

მიღების/შესრულების თარიღი: 2025-02-21
Receipt/Execution Date

თიბისი ბიზნესისთვის

ს.ს. "თიბისი ბანკი"

გადამხდელი / Sender		რეფერენსი / Ref. Num.
სს 'სილქნეტი', 204566978		15029023860
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE97TB7404936070100004	თანხა / Amount
გადამხდელის ბანკი / Sender's Bank	ბანკის კოდი / Bank Code	4000.0GEL
სს "თიბისი ბანკი"	TBCBGE22	თანხა სიტყვიერად Amount in words
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა **Information on a person on behalf of whom the payment is made**		ოთხიათასი ლარი და 00 თეთრი
დასახელება / Name	სს 'სილქნეტი', 204566978	
საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code	204566978	**წარდგენის თარიღი** **/ Document Submission Date**
მიმღები / Receiver		2025-02-21
ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ		
სახაზინო კოდი / Treasury Code	300773263	
ხაზინა / Treasury	ბანკის კოდი / Bank Code	ხელმოწერა Signature
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	TRESGE22	
გადახდის დანიშნულება / Operation Details		
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო		
დამატებითი ინფორმაცია / Additional Information		
ს/ფ0000384957 :2502/0872,დადგენილება N 004796, თბილისი, ლევან მიქელაძის ქუჩა 4, საკ. 01.14.14.003.018 საკადასტრო კოდით რეგისტ/		

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოთხსენებულ ხელშეკრულებას

დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკში
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/ფ2362-24

" 31 " 12 2025 წ.

სს სილქნეტი
№ 8/1163
07.02.2025
01

დადგენილება №004796
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

31.12.2024წ. **ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქუჩა №7**

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, მამუკა ჯაფელმა, განვიხილე 2024 წლის 30 ოქტომბრის №004796 მითითება და 2024 წლის 06 ნოემბრის №002895 შემოწმების აქტი და 2024 წლის 06 ნოემბრის მოხსენებითი ბარათი, შედგენილი **ს.ს. "სილქნეტი"** - ის (ს/ნ: 204566978, მის: ქ. თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, წინამძღვრიშვილის ქუჩა, №95) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ლევან მიქელაძის ქუჩა, №4, №01.14.14.003.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე, **ს.ს. "სილქნეტი"-ს** მიერ, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განთავსებულია ფიჭური რადიოსადგური.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, 2024 წლის 30 ოქტომბერს, შედგენილ იქნა №004796 მითითება, რომლითაც სამშენებლო სამართალდამრღვევს განესაზღვრა 03 (სამი) კალენდარული დღის ვადა განხორციელებული სამუშაოების დამადასტურებელი შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან უსაფრთხოების წესების დაცვით ობიექტების დემონტაჟის განსახორციელებლად.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" - ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, 2024 წლის 6 ნოემბერს შედგენილ იქნა №004796 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2023 წლის 09 დეკემბერს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა საქმის განხილვის სხდომა. სხდომის შესახებ მხარეს ეცნობა კანონით დადგენილი წესით. სხდომაზე გამოცხადდა მხარის წარმომადგენელი (მინ. №229/05-8, 17.01.2024წ) – **მოქ. ნინო კარიაული** (პ/ნ: 01024037909), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. წამომადგენელმა განაცხადა, რომ მითითებაში

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

აღნიშნული სამუშაოები განხორციელებულია ს.ს. "სილქნეტი"-ს მიერ. ასევე აღნიშნა, რომ დაწყებული აქვთ ქმედებები ნებათვის მოსაპოვებლად და ითხოვა დაჯარიმება.

2024 წლის 31 დეკემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმებისას შედგენილი მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ შ.პ.ს „სილქნეტის"-ს მიერ კვლავ არ იქნა შესრულებული 2024 წლის 30 ოქტომბრის №004796 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია იმ სუბიექტთა წრე, რომლებზეც შესაძლოა გავრცელდეს სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში არსებული ნორმების მოქმედება. ზოგადი წესის თანახმად, სანებართვო დოკუმენტაციის დარღვევით ან მის გარეშე მშენებლობის განხორციელებისათვის, პასუხისმგებლობა ეკისრება მშენებლობის განმახორციელებელ პირს, ანუ პირს, უშუალოდ რომლის ქმედებამაც გამოიწვია სამშენებლო სამართალდარღვევა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ასეთი პირის დადგენა, სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შენობა-ნაგებობის ან/და მიწის სამშენებლო ნაკვეთის მესაკუთრეს ან მოსარგებლეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ს.ს. "სილქნეტი"-ს** მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ლევან მიქელაძის ქუჩა, №4, №01.14.14.003.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განთავსებულია ფიჭური რადიოსადგური.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლით, 127-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 131-ე მუხლის მე-2 ნაწილით,

დავადგინე:

1. **ს.ს. "სილქნეტი"** დაჯარიმდეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით ქ. თბილისში, ლევან მიქელაძის ქუჩა, №4, №01.14.14.003.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე ფიჭური განთავსებისათვის;

2. ქ. თბილისში, ლევან მიქელაძის ქუჩა, №4, №01.14.14.003.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის **მესაკუთრეს** დაევალოს, ამავე კოდზე არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განთავსებული ფიჭური რადიოსადგურის დემონტაჟი;

3. **ს.ს. "სილქნეტი"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის

დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამშენებლო სამართალდარღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **ს.ს "სილქნეტი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში), სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამშენებლო სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **მამუკა ჯაყელი**